სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12230459737021

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211326181

რეგისტრაციის თარიღი

29.11.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ გეფერიძე
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას N76
ტელეფონი: 0322331867

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე, **ნოტარიუს თამარ გეფერიძეს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში,** მომმართა **შპს "დონა გრუპ"-ის (ს/კ 206345454) 100%-იანმა დამფუძნებელმა და დირექტორმა შალომ შაიმ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დაერწმუნდი, რომ ნამდვილად **შალომ შაიმ** (დაბადებული 16.07.1953წ. რეგისტრირებული მისამართზე ისრაელი, ქალაქი მოდიინი, მიგდალ ოზის ქუჩა №11/30, (ამჟამად მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ქ. თბილისი, სასტუმრო "რედისონი") ისრაელის პასპორტი P ISR 30321624, პირადი ნომერი - 0-1748307-4 გაც. იერუსალიმში 16.09.2014წ.) მომმართა. მე შეკამოწმე **შალომ შაის ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება** და ვადასტურებ, რომ მის **ქმედუნარიანობაში, უფლებამოსილებაში** ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დაერწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს "დონა გრუპ"-ის (ს/კ 206345454) 100%-იანი დამფუძნებელი და დირექტორი შალომ შაი** (დაბადებული 16.07.1953წ. რეგისტრირებული მისამართზე ისრაელი, ქალაქი მოდიინი, მიგდალ ოზის ქუჩა №11/30, (ამჟამად მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ქ. თბილისი, სასტუმრო "რედისონი") ისრაელის პასპორტი P ISR 30321624, პირადი ნომერი - 0-1748307-4 გაც. იერუსალიმში 16.09.2014წ.) ვენდობი **გიორგი ბეჟანიშვილს** (დაბ. 23.05.1953წ, პირადი : 45001001720) იყოს **შპს "დონა გრუპ""-ის** წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო და საბანკო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, მიიღოს გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებებს და პარტნიორის კრების ოქმებს, შეიძინოს **შპს "დონა გრუპ""-ის** სახელზე ნებისმიერი უძრავი ქონება საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, ასევე, შემდეგ, გაყიდოს (გაასხვისოს) გაცვალოს, დაყოს, გამიჯნოს, გააერთიანოს, დატვირთოს იპოთეკით ნებისმიერ ბანკში, ნებისმიერი ტიპის სესხის უზრუნველსაყოფად, როგორც ახლად შეძენილი ასევე **შპს "დონა გრუპ""-ის** კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, გადაიხადოს გადასახადები, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში **შპს "დონა გრუპ""-ის** სახელზე ნებისმიერი უძრავი ქონება.

ასევე **გიორგი ბეჟანიშვილი** (დაბ. 23.05.1953წ, პირადი : 45001001720) უფლებამოსილია გააფორმოს ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულება (მათ შორის თანამშრომლობის, იპოთეკური, საკრედიტო და უზრუნველყოფის, ლიზინგის, გარანტიის, თაედებობის, ბლოკირების და სხვ.) ნებისმიერ კომერციულ ბანკთან, გახსნას, დახუროს, მართოს და განკარგოს ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში, შეასრულოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია, მათ შორის თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, გახსნას და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით, დაამზადოს პლასტიკური ბარათი, დამატებითი პლასტიკური ბარათი, მათ შორის ბიზნეს ბარათები, დაკარგვის შემთხვევაში აღადგინოს და მიიღოს ის პინკოდებთან ერთად, მიიღოს დიჯიპასი, ბანკომატში დაკავებული ბარათები, დეტალური ინფორმაცია, ცნობა და ამონაწერი ამ ანგარიშების თაობაზე, განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ბანკის მოთხოვნით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ხელშეკრულებას, შეთანხმებას, რაც ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია 2023 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 20 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 3 ლარი და 60 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 25 ლარი და 60 თეთრი.

შპს "დონა გრუპ"-ის 100%-იანი დამფუძნებელი და დირექტორი

შალომ შაი _____

ნოტარიუსი _____ თამარ გეფერიძე

DONA group
ᲓᲔᲕᲔᲚᲝᲞᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

არ ვართ წინააღმდეგი ჩვენს საკუთრებაში არსებული ტერიტორია (01.14.05.006.092) გამოყენებულ იქნას მომიჯნავე ნაკვეთზე 01.14.05.006.091 დაგეგმილი მრავალფუნქციური შენობის სახანძრო მისადგომად.

პატივისცემით ,

შ.პ.ს. „დონა გრუპ“-ის დირექტორი შალომ შაის მინდობილი პირი:
გიორგი ბეჟანიშვილი პ/ნ 45001001720

ტელ: 577 98 77 94 გიორგი



მისამართი: საქართველო, თბილისი,
გორგასლის ქ. № 40
ტელ/ფაქსი: + 995 32 720 048
ელ-ფოსტა: sales@dona.ge